სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/200

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 20 დეკემბრის საბჭოს სხდომის № 16 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი შალვა კვირკველია.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, გარდა უცხოური ენის სწავლების ნაწილისა.
3. ცვლილებები ინგლისური ენის სავალდებულო სწავლებასთან მიმართებაში შეეხებათ 2022-2023 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ სტუდენტებს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**